**დანაშაული** - Crime - Преступление

ადამიანის **არანორმატიული** საქციელი; ანუ საქციელი, რომელიც არღვევს ამათუიმ საზოგადოებაში დადგენილ ქცევის წესებს, ნორმებს (დაწერილ კანონმდებლობას ანდა დაუწერელ ტრადიციებს, წესჩვეულებებს, გადმონაწესებს). შეიძლება იყოს იურიდიულ-სამართლებრივი ან ზნეობრივ-სამართლებრივი დარღვევა. როგორც წესი, **დ**-ისთვის დაწესებულია შესაბამისი სასჯელი.

მცდარია ტერმინით „**დ**“ თარგმნა ინგლისური ტერმინისა guilt (fault) = რუსული вина. ამ ტერმინების ქართული შესატყვისია „ბრალი“. **დ** – საქციელია, ხოლო ბრალი (guilt, вина) – **შეფასება** (აქვს გონებრივი და გრძნობითი მდგენელები). ამიტომ მცდარი ტერმინია **„დანაშაულის გრძნობა“.** მართებულია **ბრალეულობის გრძნობა.**